მე-8 კლასი

მშობლიური, ქართული ენის ფინალის ტესტი 100 ქულიანია. ტესტში ჯამურად დაგხვდებათ 30 საკითხი (შეკითხვა). ტესტი შედგება 2 ნაწილისაგან:

- წაკითხული ტექსტის გააზრება (40 ქულა)
- გრამატიკული და ლექსიკური დავალებები (60 ქულა)

ტესტის ყველა შეკითხვა არჩევითპასუხიანი, დახურული ტიპისაა. თითოეულ შეკითხვას აქვს სამი სავარაუდო პასუხი: ა, ბ ან გ, რომელთაგანაც მოსწავლეს ერთი სწორი პასუხის შერჩევა ევალება.

ნაწილი #1 - წაკითხული ტექსტის გააზრება

ტესტის ამ ნაწილში 10 შეკითხვაა და თითოეული სწორი პასუხი ფასდება 4 ქულით. შესაბამისად, ამ ნაწილის ჯამური ქულაა 40.

აღნიშნული სავარჯიშოს შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს კლასის შესაბამისი ტექსტის წაკითხვა და გააზრება. შეკითხვები შეეხება:

- პერსონაჟების თვისებებს,
- ტექსტში მოცემულ მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების აღმოჩენას,
- ტექსტის მთავარი სათქმელის/იდეის გააზრებას;

მოსწავლეს უნდა შეეძლოს ისეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, როგორებიცაა: როგორ გამოხატავს პერსონაჟი თავის ემოციას? რატომ წუხს მთავარი გმირი? რატომ მიიღო პერსონაჟმა ეს გადაწყვეტილება?

ნაწილი #2 - გრამატიკული და ლექსიკური დავალებები

ტესტის მეორე ნაწილი შეეხება გრამატიკულ და ლექსიკურ საკითხებს. ტესტის ამ ნაწილში 20 დავალებაა და თითოეული სწორი პასუხი ფასდება 3 ქულით, შესაბამისად ამ ნაწილის ჯამური ქულაა 60.

მოსწავლემ უნდა გამოავლინოს ცოდნა სხვადასხვა მიმართულებით. ესენი გახლავთ:

- ნაცვალსახელი
- ზედსართავი სახელი,
- ზმნიზედა,
- თანდებული,
- კომპოზიტები,
- რიცხვითი სახელი,
- ზმნა და ზმნის დრო,
- ზმნის გვარი
- წინადადების მთავარი და არამთავარი წევრები
- კავშირი
- არსებითი სახელი და მასთან დაკავშრებული მართლწერის წესები,
- მორფოლოგია
- მხატვრული ხერხები

მაგალითად:

რომელი გვარისაა ზმნა „<u>დაუყარა</u>" ?

ა) მოქმედებითი გვარის ბ) ვნებითი გვარის გ) საშუალი გვარის

ჩამოთვლილთაგან რომელია მაერთებელი კავშირი?

ა) სანამ ბ) და გ) იმიტომ რომ

რამდენი მთავარი წევრია წინადადებაში? -

„ონისე მუხლჩაუხრელად შრომობდა ოჯახის სარჩენად''.

ა) სამი ბ) ორი გ) ხუთი

შეგახსენებთ, **ფინალური ტური 4 მაისს ჩატარდება.** ფინალთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციის ნახვა ამ ბმულზეა შესაძლებელი: https://www.kings.ge/news/1321

კინგსის გუნდი გისურვებთ წარმატებულ ასპარეზობას!